



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მ ი ნ ი ს ტ რ ი



KA100104402674013

თბილისი

11 / ნოემბერი / 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/811

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 ოქტომბრის N01/779 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების (შემდგომში - დებულება)“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

- დამტკიცდეს სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი N1) მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:
 - ამოცხადდეს კონკურსი სამინისტროს ცენტრალური აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე (დანართი N1-ის შესაბამისად) და სამინისტროსთან არსებული სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორის თანამდებობაზე;
 - კონკურსი ჩატარდეს ერთ ეტაპად, გასაუბრების ფორმით;
 - საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს კონკურსში მონაწილეთათვის გასაუბრების თემატიკის გაცნობა;
 - საკონკურსო განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2013 წლის 12-22 ნოემბერი;
 - კონკურსანტთა გასაუბრების გრაფიკი განისაზღვროს ცალკე, არაუადრეს 2013 წლის 23 ნოემბრისა;
 - კონკურსში მონაწილეთა შეფასების ფორმა განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად.
- სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოსთან ერთად) უზრუნველყოს:
 - კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება (სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით), დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული მონაცემების გათვალისწინებით;
 - კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე;
 - წინამდებარე ბრძანების შესახებ სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის

დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შეტყობინება.

3. სამინისტროს აპარატმა (საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოსთან ერთად) უზრუნველყოს სამინისტროს ვებ-გვერდზე კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის განთავსება.

4. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების თანამშრომლებისათვის გაცნობა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი



ზურაბ აზმაიფარაშვილი